



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

23 სექტემბერი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №289

**თამარ კილურაძისთვის სამსახურებრივი ურთიერთობის
 დროებით შეჩერების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 92-ე მუხლის და „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-6 ნაწილის და 25-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკადრო მომსახურების საკითხებში მთავარ სპეციალისტს – თამარ კილურაძეს ქ.ოზურგეთის №60/06 საუბნო საარჩევნო კომისიაში მუშაობის გამო, დროებით შეუჩერდეს სამსახურებრივი ურთიერთობა მიმდინარე წლის 23 სექტემბრიდან ქ.ოზურგეთის №60 საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.
2. ქ. ოზურგეთის №60 საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე აპარატის საკადრო მომსახურების საკითხებში მთავარი სპეციალისტის და საოლქო მომსახურების საკითხებში მთავარი სპეციალისტის უფლებამოსილება დაეკისროს საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში მთავარ სპეციალისტს – ნათია ლომჯარიას.
3. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ.№14).
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ავთანდილ სურგულაძეს